ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3450470

ნომერი: AR1526982

თარიღი : 24.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდაუთის ქუჩა N17ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ წულაძე პ/ნ 01024013674
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 10 ბ. 47

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აპრილის №2494364 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 24 ივლისს AR1526982 განცხადებით მომართა ავთანდილ წულაძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აპრილის №2494364 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აპრილის №2494364 ბრძანებით ქ.თბილისში, გუდაუთის ქუჩა N17ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე: (საკადასტრო კოდი:#01.

13.05.004.145, ფართობი: 712კვ.მ) საწყობის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 აპრილის №2563250 ბრძანებით, ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა საწყობი და ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა.

ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს, 2016 წლის 4 აპრილის №2494364 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაფრთხილების გრაფაში ერთ-ერთ ჩანაწერს: „საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზა, საკადასტრო კოდით #01.13.05.004.088 დაიტვირთოს სერვიტუტით“ დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: „საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელ გზასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს რაიმე ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტი, რითაც დადასტურდება მისასვლელი გზის არსებობა", რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აპრილის №2494364 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და გაფრთხილების გრაფაში დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: „საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელ გზასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტი, რითაც დადასტურდება მისასვლელი გზის არსებობა".
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აპრილის №2494364 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.